

**შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას  
ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით  
მოქმედების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეაში სასწავლო/სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერს კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, დაწესებულების ვიზიტორების (სტუმრების) ქცევას, შესასრულებლად სავალდებულო წესებს.
2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისი № 01-227/ო ბრძანების „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით.

**მუხლი 2. შტაბი**

1. ამ წესის შესასრულებლად, ვირუსის გავრცელების და საფრთხის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსახორციელებლად კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შტაბი - სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მოადგილე.
2. შტაბი უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისი № 01-227/ო ბრძანების დანართებით (დანართი #1 „ზოგადი რეკომენდაციები“, დანართი #14 „რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის“, დანართი №3 „რეკომენდაციები მომსახურების/საოფისე საქმიანობისთვის“) განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებასა და მონიტორინგს.
3. შტაბი ახორციელებს სამუშაო/სასწავლო სივრცეში ვირუსული ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საფრთხის შემცველი ფაქტორების/რისკების ანალიზს, რის შედეგადაც საჭიროებების გათვალისწინებით წარუდგენს კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად საგანგებო სიტუაციის სამოქმედო გეგმას.
4. ატარებს საინფორმაციო ინსტრუქტაჟს კოლეჯის პერსონალისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის.
5. უზრუნველყოფს პერსონალის მუშაობას, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიღება/სწავლებას

- კოლეჯში წინასწარ განსაზღვრული სასწავლო ცხრილის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა როდენობის, ნაკადების გათვალისწინებით.
6. უზრუნველყოფს პერსონალის მუშაობა, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიღება/სწავლება კოლეჯში წარმართოს 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით.
  7. უზრუნველყოფს ნებისმიერი პირის (პერსონალი, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები, სტუმრები) დაშვებას კოლეჯში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღაბი, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარი/დამცავი სათვალე).
  8. უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორი მოხმარების პრაქტიკის დანერგვას.
  9. ზედამხედველობს კოლეჯში გამოყენებული იყოს ხელის დაბანის გამართული საშუალებები (თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი ხელსახოცები), აგრეთვე ხელების დეზინფექტანტი არანაკლებ 70%-იანი სპირტის შემცველობის სადეზინფექციო საშუალებები.
  10. უზრუნველყოფს ხელის ჰიგიენის დაცვის სწორ პრაქტიკას, აგრეთვე სამუშაო ადგილებზე ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებას სწორი ინსტრუქციით.
  11. უზრუნველყოფს რათა მოხდეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა და სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პაკეტი, რომლის საშუალებითაც მოხდება ნარჩენების დროული გატანა.
  12. ზედამხედველობს სამუშაო ფართის, სახელურების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების (3 საათიანი ინტერვალებით) სანიტარულ დამუშავებას შესაბამისი პირების მიერ.
  13. ზედამხედველობს სველი წერტილების სანიტარულ დამუშავებას პერიოდული გრაფიკით შესაბამისი პირების მიერ.
  14. ზედამხედველობას უწევს, რათა მოწყვლადი ჯანმრთელობის მქონე შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმნათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მუშაობისას იმგვარად ადაპტირდეს აქტივობები, რომ მინიმუმადე იყოს დაყვანილი მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე შშმ/სსსმ პირის კოლეჯში ვიზიტი, აგრეთვე ქრონიკული დავადებების, მაღალი რისკის მქონე კოლეჯის პერსონალის ონლაინ მუშაობის რეჟიმზე გადაყვანას.
  15. ავალებს მატერიალური რესურსების მენეჯერს განახორციელოს კონტროლი დამლაგებლის მიერ საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/სანიტარულ დამუშავებაზე (ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის № 01-123/ო ბრძანების ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ სათანადო დანართის შესაბამისად).
  16. შტაბი წინამდებარე წესის ფარგლებში/შესასრულებლად ანაწილებს ფუნქციებს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, იძლევა დავალებებს სწრაფი რეაგირებისათვის.
  17. უზრუნველყოფს, იძლევა დავალებებს, კოლეჯში ერთიან შესასვლელთან სასწავლო/სამუშაო სივრცეში მყოფი პერსონალისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ან/და სხვა პირებისთვის თერმოსკრინინგის ჩატარებას.
  18. ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში პირის ყველა აუცილებელი მონაცემების აღრიცხვა ხდება ჟურნალში, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში ხდება პირის კოლეჯის (მისაღებ) სივრცეში დროებითი იზოლაცია და მყისიერი მიმართვა

112-ის ცხელ ხაზზე. თერმოსკრინინგის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირები ეკიპირებულები არიან დაცვის საშუალებ(ებ)ით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

19. შტაბის დავალებით, კოლეჯის შესასვლელ(ებ)ში განთავსებულია დეზობარიერი(ებ)ი შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული განცხადების და დეტალური ინსტრუქციის პლაკატები.

20. შტაბის პრეროგატივაა მიმდინარე საკითხების სწრაფი გადაწყვეტა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასალა-ნედლეულის, საშუალებების შესყიდვების უზრუნველყოფა, ხარისხის, ვადის კონტროლი, ფუნქციების გადანაწილება პერსონალის სამსახურებრივი დებულებების უფლებამოსილების ფარგლებში, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, დოკუმენტაციის შემუშავება და კოლეჯის დირექტორისთვის წარდგენა.

21. წინამდებარე წესის შესასრულებლად შტაბს თავის დაქვემდებარებაში ჰყავს მატერიალური რესურსების მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, აგრეთვე კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულები.

22. შტაბი უფლებამოსილია გადაიყვანოს პერსონალი/ პროფესიული სტუდენტები/მსმენელები (მათ შორის ინფექციაზე საექმო სათანადო სიმპტომების არსებობისას) კანონმდებლობით დადგენილი წესით დისტანციური მუშაობის/სწავლის რეჟიმზე და აგრეთვე უზრუნველყოს ამ პირთა თვითიზოლაციის/კარანტინის რეჟიმში ყოფნის შესაძლებლობა.

23. შტაბი ახორციელებს მეისიერად საფრთხის აღმოფხვრას, ჩანაცვლებასა, საფრთხეების იზოლირებას, მუშაობის სტილის შეცვლას, აგრეთვე მუდმივ კონტროლს რათა მოხდეს კოლეჯის შენობაში მყოფი პირების მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება.

### **მუხლი 3. კოლეჯის ვალდებულებები:**

1. მაგიდების განლაგებისას 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა;
2. არ დაიშვება პირი კოლეჯის შენობაში დამცავი ნიღბის გარეშე;
3. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/აპლიკანტების მაგიდები არ უნდა იყოს განთავსებული ერთმანეთის პირისპირ;
4. საჭიროების/დასაბუთების მიხედვით შეიძლება გამოყენებული იყოს ცვლებში მუშაობის რეჟიმი;
5. ყოველი ცვლის შემდგომ გამოყენებული იქნება სანიტარული შესვენება;
6. უზრუნველყოს კოლეჯის შენობაში ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;
7. უზრუნველყოს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა და სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პაკეტი;
8. უზრუნველყოს ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის მიერ.

### **მუხლი 4. კოლეჯის პერსონალის, პროფესიულ სტუდენტის/მსმენელის ვალდებულებები:**

1. კოლეჯის სივრცეში ჰიგიენის წესები დაცვა;
2. 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა.
3. სწორად და სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (პირბადე, ხელთათმანები, ფარი) გამოყენება;
4. ხელების ჰიგიენის წესების დაცვა;

**მუხლი 5. კოლეჯის ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მოქმედების წესის დანართები**

1. წინამდებარე წესის შემადგენელ, განუყოფელ/სარეკომანდაციო ნაწილს წარმოადგენს და შესასრულებლად სავალდებულოა:
  - ა) დანართი #1 – (თვალსაჩინო ინსტრუქცია), კოლეჯის პერსონალისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის, მსმენელებისთვის, სტუმრებისთვის.

**მუხლი 6. დოკუმენტის დამტკიცება, ცვლილებების შეტანა**

1. წინამდებარე წესი მოქმედებს კოლეჯის (შინაარსობრივად დაკავშირებულ) სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად.
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯი პანაცეას ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მოქმედების წესის დამტკიცება, ცვლილებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.